დანართი 1
დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2023 წლის ____ მარტის
N_____ ბრძანებით

ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „გამოფენებისა და გასტროლების დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „გამოფენებისა და გასტროლების დაფინანსება“ (შემდგომში - ღონისძიება) ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობებს, მხარეთა პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს.
2. ღონისძიება ითვალისწინებს ქ. ბათუმში მოღვაწე ხელოვანთა მხარდაჭერას, საქართველოს მასშტაბით (ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ), ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა, სამუსიკო და თეატრალური ხელოვნების მიმართულებით გასტროლების ხელშეწყობა.
3. პროექტთა შერჩევა მოხდება კონკურსის წესით.
4. კონკურსს ატარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი სამუშო ჯგუფი (შემდგომი - კომისია).
5. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სამუსიკო, თეატრალური და სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან/და ფიზიკურ პირს, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში, მუშაობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - კონკურსანტი).
6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან (შემდგომში - მერია) მოთხოვნილი თანხა განისაზღვრება - არაუმეტეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარისა.
7. პროექტი უნდა განხორციელდეს და დასრულდეს საბიუჯეტო წლის განმავლობაში.
8. პროექტები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირებისა და ორგანიზაციების მიერ არ განიხილება.
9. პროექტ(ებ)ი განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში მოღვაწე ხელოვანთა მხარდაჭერა, მათი პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა, პოპულარიზაცია, რეკლამირება.

მუხლი 3. ავტორიზაცია

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა მერიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
   1.1 შევსებული განაცხადი (ბრძანების დანართი 2):

1.2 ავტობიოგრაფია (CV თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია);

1.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი - თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია, ხოლო თუ განმცახედებელი იურიდიული პირია - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

1.4 მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმეტი ან დასურათებული მტკიცება (ე.წ. „სკრინშოტი" - სამოქალაქო რეესტრის ვებ-გვერდიდან, თარიღის წარმოჩენით, საცხოვრებელი ადგილის მითითებით) თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია;

1.5 შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალა CD სახით, (არსებობის შემთხვევაში);

1.6 ოპტიმალური ხარჯების დაგეგმვის მიზნით, ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან, ბაზრის კვლევის დასადასტურებლად, ბიუჯეტით გათვალისწინებულ თითოეულ („საქონელი და მომსახურება") პუნქტზე, წარმოდგენილი უნდა იყოს ფასის დამდგენი არანაკლებ 2 დოკუმენტი/ინვოისი (სასურველია 3 და მეტი), რომელიც დამოწმებული იქნება გამცემის ხელმოწერით და მითითებული იქნება მისი საკონტაქტო ინფორმაცია.

2. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დადასტურებული.

3. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. განაცხადების მიღებისა და განხილვის ვადები.

1. განაცხადების მიღება იწარმოებს მიმდინარე საბიუჯეტო წლის ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან - ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით, გარდა, ნოემბრის თვისა, ხოლო დეკემბრის თვეში, განაცხადების მიღება იწარმოებს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მომდევნო საბიუჯეტო წლის დამტკიცების შემდეგ/პირობებში, მომდევნო საბიუჯეტო წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

2. შემოსული განაცხადები განიხილება განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. რეკომენდირებულია, ღონისძიების ჩატარების თარიღი განისაზღვროს - განაცხადის მიღების ვადის ამოწურვიდან (თვის ბოლოდან), არანაკლებ ორი თვისა (ღონისძიებით გათვალისწინებული „საქონელი და მომსახურება" მიმართებაში განსახორციელებელი შესყიდვების გამოცხადება - ჩატარების მიზნით.

4. განაცხადების მიღება იწარმოებს ღონისძიებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში - ამოწურვამდე (ბენეფციართა რაოდენობა შეზღუდული არაა).

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტების მიღება - შესწავლა.

2. დოკუმენტების მიღებას აწარმოებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25).

3. კონკურსანტის მიერ, შემოტანილი განაცხადი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით, გადაეცემა

ამავე სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

4. განყოფილება:

4.1 უზრუნველყოფს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას და რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) შეყვანას;

4.2 შეისწავლის განაცხადს და არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, აპლიკანტს წერილობით ან/და განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით აცნობებს ხარვეზის გამოსწორების თაობაზე (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;

4.3 არასრული დოკუმენტაციის ან/და განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის (არსებითი) გამოუსწორებლობის შემთხვევაში - განაცხადი კომისიაზე არ განიხილება;

4.4 თუ დოკუმენტაცია შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს - ამზადებს მოხსენებითი ბარათის პროექტს (კომისიის თავმჯდომარის სახელზე) კომისიური წესით განხილვაზე წარსადგენად/დასაშვებად და მასალებს წარუდგენს კომისიის წევრებს.

5. მეორე ეტაპი ითვალისწინებს განაცხადების განხილვას კომისიური წესით. მათ შორის კონკურსანტებთან გასაუბრებას (დასაშვებია სატელეფონო და სხვა საკომუნიკაციო, ფორმატში) და შეფასების განხორციელებას.

მუხლი 6. კომისიის უფლებამოსილებები

1. **კომისია:**

1.1 კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით;

1.2 კომისიის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით;

1.3 კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

1.4 კომისია ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;

1.5 კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი;

1.6 კომისია ამტკიცებს იმ განაცხადთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულების დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

1.7 კომისია განიხილავს შემოსულ განაცხადებს, აკეთებს შეფასებებს და მერს წარუდგენს რეკომენდაციას;

1.8 კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

2. **კომისიის თავმჯდომარე:**

2.1 წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;

2.2 კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს

ბრძანების პროექტს, კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსის შედეგად შერჩეული გამარჯვებული პირების რეკომენდაციის თაობაზე.

3. კომისიის მდივანი:

3.1. ახორციელებს შემოსული ინფორმაციის დამუშავებას და წინასწარ შემუშავებულ რეესტრში შეყვანას. საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას, კომისიის შეხვედრების ორგანიზებას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;

3.2. კომისიას აწვდის ინფორმაციას შემოსულ განაცხადებთან დაკავშირებით;

3.3. კომისიის წევრთა მიერ, შევსებული შეფასების ცხრილების მიხედვით, ახდენს დაჯამებას, საბოლოო შედეგების გამოსავლენად;

3.4. აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. კომისიის წევრი:

4.1 გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად;

4.2 შეისწავლის განაცხადს და ახდენს შეფასებას.

5. კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები კონფიდენციალურია და განკუთვნილია მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის.

მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. გამარჯვებულ პირთა გამოვლენა ხდება შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

2. კონკურსანტთა შეფასება ხდება 0 – 10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

2.1 ღონისძიების განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა (მხედველობაში მიიღება - ღონისძიების ხანგრძლივობა, პრიორიტეტულობა თუ აქტუალობა, მიზნებთან შესაბამისობა, PR კომუნიკაციის შესაძლებლობები) **10 ქულამდე;**

2.2 მერიიდან მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობის შეფასება (საპროექტო განაცხადის განხილვისას მხედველობაში მიიღება პროექტის ბიუჯეტის ოპტიმალურობა): **10 ქულამდე.**

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება თითოეული განაცხადის მიხედვით, კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით.

2. რეკომენდაცია გაეწევა იმ აპლიკანტს, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.

3. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება ახალგზრდა ხელოვანთა შემოქმედების წარმომჩენ პროექტებს. გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია.

4. გადაწყვეტილების მიღება ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 9. ბენეფიციარის ვალდებულებები

ბენეფიციარი ვალდებულია, პროექტის დასრულებიდან 15 დღის ვადაში წარმოადგინოს საბოლოო პროგრამული ანგარიში (ბრძანების დანართი 3).